# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველ-დღიური გამოცემა.— სამშაბათი, 7 ნოემბერი 1900 წ. № 1291

**გაზეთის ფასი:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ.
**ფასი** განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზედ უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).
ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.**
**ტელეფონი № 372**

## მიიღება ხელის მოწერა 1901 წლისათვის

ჟურნალ „მოამბე“-ზე და გაზეთ „ცნობის ფურცელ“-ზე

**ყოველ თვიური ჟურნალი**
**„მ ო ა მ ბ ე“**
(წელიწადი მერვე)
ფასი ჟურნალისა გაგზავნით:
1 წლით 6 თვით 3 თვით
10 მანეთი 6 მან. 3 მან.
საზღვარ გარეთ:
1 წლით 6 თვით 3 თვით
13 მანეთი 7 მან. 5 მან.

**ყოველ დღიური გაზეთი**
**„ცნობის ფურცელი“**
(წელიწადი მეექვსე)
გაზეთის ფასი გაგზავნით:
1 წლით 6 თვით 1 თვით
6 მანეთი 4 მან. 75 კაპ.
საზღვარ გარეთ:
1 წლით 6 თვით 1 თვით
9 მანეთი 5 მან. 90 კაპ.

**წლიური ფასის შემოტანა შეიძლება განაწილდეს:**

პირველად 5 მან., 1-ლ აპრილამდე 3 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 2 მ.

პირველად 3 მანეთი, 1-ლ აპრილამდე 3 მანეთი.

**ვინც „მოამბე“-ს ერთის წლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელი“ უფასოდ დაუთმობა, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნად ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაემატოს 1 მანეთი**

წლიური ფასის და საფოსტო ხარჯის განაწილება ასე შეიძლება: პირველად 6 მანეთი, 1-ლ აპრილამდე—3 მან. და 1-ლ სექტემბრამდე—2 მან.

გაზეთი გამოვა 1900 წლის 1-ლ დეკემბრიდან გაფართოვებულის პროგრამით; ფორმატიც გადიდებული იქნება.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქონი 10 კ., მეოთხეზე—5 კ.
**თუ განცხადება 3-ჯერზე მეტი დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ღირება.**
ადრესი რედაქციისა: **Тифлисъ, въ редакцію „Моамбэ“ и „Цнобисъ-Пурцели“.**

## ქართული თეატრი

**ხუთშაბათს, 9 ნოემბერს,**

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

**ს. პ. სვიმონიძის საბენეფისოდ. პირველად ახალი პიესა**

I

## ორი გმირი

ისტ. ტრ. 3 მოქმედებად პ. გუხიასი (ფ. კოპედან)

II

## აირია მონასტერი

კომედ.-ხუმრობა 3 მოქმ. გადმოთ. სახოკიასი და მესხისაგან

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.-ბ-ნნი გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილი, კარგარეთელი, ნებიერიძისა, მდივანი, გარელი, კუნდელი, სარიძე და სხვ.; ბ-ნნი: აბაშიძე, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი, მირიანოვი და სხვ.

დასაწყისი 8 საათზე. ფასები ჩვეულებრივია. რეჟისორი **ვ. გუნია.**

მზადდება ვ. აბაშიძის საბენეფისოდ „ორი ჯიბგირი“, ეფ. მესხის მონაწილეობით „დენიზა“, „ციხის საიდუმლო“ და სხვა. (3—1)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**მკურნალის მიხეილ გედევანიშვილისა.**

**ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა უქმეების გარდა.**

**დ ი ლ ი თ:**

**გ. ი. ჩიჩინაძე**—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 ს.

**ნ. ა. მუღდინი**—ყურისა, ყელის და ცხვირისა—10—11 საათამდე.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი—10—2 საათამდე.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 11—12 საათამდე.

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი—12—1 საათამდე.

**მ. გ. ბეზირგანოვი**—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათამდე.

**გ. ლ. მარკევიჩი**—სდოსტაქრო $12^1/_2$—$1^1/_2$ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.

**ი. დ. ბეკთაბეკოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი :**

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათამდე.

**ა. ა. ბელოგოლოვი**—შინაგანი და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

**სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.**

**ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მან. დღე და ღამეში. ერთი კრაოტა ღარიბთათვის უფასოა.**

**ადრესი:** კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ტელეფონი № 274.**

დირექტორი სამკურნალოსი
(წლ.) **მიხეილ გედევანიშვილი.**

## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**5 ნოემბერი**

**ლივადია.** 5 ნოემბერს, დილის 11 საათზე. ხელმწიფე იმპერატორის ავადმყოფობის ბიულეტენი: „გუშინ მთელი დღე ხელმწიფე იმპერატორი კარგად იყო; ცოტა ეძინა. საზოგადოდ მდგომარეობა გვარიანია; თავს კარგად ჰგრძნობს. საღამოს 9 საათზე ტემპერატურა ჰქონდა $38,_7$, მაჯა—64. ღამე მის უდიდებულესობას ძალიან კარგად ეძინა; თავი არ სტკივა. დილის 9 საათზე ტემპერატურა $37,_6$, მაჯა—68. ლეიბ-ხირურგი გირში, საპატიო ლეიბ-მედიკი პოპოვი და ექიმი ტიხონოვი.

**6 ნოემბერი**

**პეტერბურგი;** 5 ნოემბერს პეტერბურგში დაბრუნდა თავის მოგზაურობიდან რუსეთში დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს-ძე.

5 ნოემბერს ყაზანის საკრებულო ტაძარში, რომელშიც ასვენია სასწაულთ-მოქმედი ხატი ყაზანის ღვთის-მშობლისა, აუარებელის ხალხის თანდასწრებით გადახდილ იქმნა წირვა და პარაკლისი, რომლის დროს მლოცველთ შესთხოვეს უზენაესს ხელმწიფე იმპერატორის განკურნება. მწირველი ბრძანდებოდა ყოვლად უსამღვდელოესი ანტონი.

დეპეშები მოვიდა ხელმწიფე იმპერატორის სადღეგრძელოდ გარდახდილ პარაკლისების შესახებ მოსკოვიდან, კოვნოდან, ნოვოჩერკასკიდან, პოლტავიდან, ასტრახანიდან, პსკოვიდან, სევასტოპოლიდან და ოდესიდან.

**პეკინი.** საფრანგეთის რაზმი წავიდა პეკინიდან 24 ოქტომბერს და ბრძოლის შემდეგ შევიდა ტუნლინში; 300 მოკრივე მოკლულ იქმნა. ფრანგებს ზარალი არ უნახავთ. მათ დაიკავეს იმპერატორის საგვარეულო სასაფლაო.

**ბერლინი.** ჯარების სარდალი იუწყება პეკინიდან, რომ პოლკოვნიკ იორკის რაზმმა მიაღწია 1 ნოემბერს ჩდასს, რომელიც მდებარეობს პეკინიდან ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისკენ, დიდს გალავანთან; იქ წინა საღამოს იმყოფებოდა ჩინეთის ცხენოსანი ჯარი, რომელიც, როგორც ჰფიქრობენ, შეადგენს დიდის მხედრობის უკანა რაზმს.

## სატახტო ქალაქის გაზეთების დეპეშები

« ფრანგულ გაზეთის «მატინ»-ის სიტყვით, ინგლისის მთავრობა აპირობს ამ მოკლე ხანში გამოუცხადოს სახელმწიფოებს, რომ სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკებს იგი თავის სამფლობელოებს უერთებს. ამის გამო პარიზული გაზეთი შენიშნავს, რომ საერთაშორისო უფლების მხრივ ამ გამოცხადებას დიდი ფასი არა აქვსო. შემდეგ გაზეთი ამბობს, რომ ეს გამოცხადება მაინც და მაინც ხელს ვერ შეუშლის პრეზიდენტ კრიუგერის გულითად მიგებებასაო. თუმცა პრეზიდენტი მოგზაურობს, როგორც კერძო პირი, მაგრამ მიუხედავად ამისა, საფრანგეთის ერი მაინც გამოუცხადებს მას უღრმესს სიმპატიას და პატივისცემის გრძნობას.

კრიუგერის მოსვლას საფრანგეთში მოუთმენლად ელის აგრეთვე ფრანგების მოსწავლე ახალგაზდობაც. «ტან»-ის სიტყვით, რამდენიმე სასწავლებლის მოწაფეებს დაუწერიათ ადრესი პრეზიდენტ კრიუგერისათვის. ადრესში ისინი აცხადებენ, რომ თავისი მოსვლით პრეზიდენტი დიდს პატივსა სცემს საფრანგეთს; შემდეგ ისინი სთხოვენ, რომ კრიუგერმა გარდასცეს გმირი ბურების ჯარის კაცებს, თავისუფლებისა და სიმართლისათვის მებრძოლთ, მათი აღტაცება და სიყვარული. პრეზიდენტ კრიუგერის დასახვედრად, გერმანული გაზეთების სიტყვით, გაგზავნილ მოდის საფრანგეთში ბურების საგანგებო დელეგაცია.

⋉ გაზეთ «დაილი ექსპრესი»-ს მიუღია ცნობა, ვითომ შანჰაი-გუანში შეტაკება მოჰსვლიათ რუსისა და ინგლისის ჯარის-კაცებს. ამ გაზეთის სიტყვით, ფელდმარშალმა გრაფმა ვალდერზეემ ბრძანება გასცა, რომ რკინის გზის სადგურზე ყველა მოკავშირეთა ბაირაღები ჩამოეღოთ, გარდა რუსებისა. რუსის ავიცერი, ჯარის კაცების პატარა რაზმით, მივიდა სადგურზე და ნახა, რომ ინგლისის ბაირაღი ისევ გაშლილი იყო. ეს მომხდარიყო გენერალ გეზლის შეცდომის მიზეზით. რუსებმა ინგლისელი დარაჯი სადგურიდან გააგდეს. უკანასკნელმა თოფი დასცალა; მოცვივდნენ ინგლისელები, მაგრამ რუსები სროლას დაემუქრნენ, თუ ისინი დაუშლიდნენ ინგლისის ბაირაღის ჩამოშვებას. გენერალ რედმა, რომელსაც ეს ამბავი მოახსენდა, გაჰგზავნა სადგურზე 200 ინგლისელი ჯარის კაცი და გამოაცხადა, რომ თუ რუსები ხელს ახლებენ ინგლისის ბაირაღს, მე ამას მტრულ მოქმედებად ჩავთვლიო.

⋉ ჩინეთის იმპერატორის სახლობა, რომელიც ჯერ აქამდე ისევ სინანფუში იმყოფება, როგორც ეტყობა, დიდს გაჭირვებაში ჩავარდნილა ფულის მხრივ. ამის თაობაზე უცხოეთის გაზეთებში სწერენ შემდეგს: პეკინიდან გაქცევა ისე მოულოდნელად მოხდა, რომ სახლობამ ვერ მოასწრო წაღება ფულებისა, რომელიც სასახლეში იყო შენახული და რომელიც შემდეგ იაპონელებმა იპოვეს.—იაპონელებს ხომ პეკინში არა მოეპარებოდათ რა.— იმპერატორის სახლობა პირველად ეცადა მიეღო ფულები ვიცე-კოროლებისაგან; მაგრამ ამ ცდამ სრულიად უნაყოფოდ ჩაიარა. ეხლა ცნობა მოვიდა, რომ იმპერატორის სახლობა კიდევ ცდილობს ფულის შოვნასა. ვიცე-კოროლს მოუვიდა ბრძანება, რომელშიაც მას სწერენ, რომ მან მთელი შემოსავალი პროვინციის კიანგისა გაჰგზავნოს სინანფუში იმპერატორის საჭიროებისათვის. სხვა ვიცე-კოროლებსაც მოუვიდოდათ, ალბათ, ამისთანავე ბრძანებები. ვიცე-კოროლები, რომელთაც თითონაც ბევრი გასაჭირი აქვიათ, რასაკვირველია, ყოველნაირად ეცდებიან რამე ნაირად არ შეასრულონ იმპერატორის ბრძანება. თუნდაც რომ მიიღოს იმპერატორის სახლობამ საჭირო ფული, იგი ვერ შეიძლებს საჭირო სამზადისის ყიდვას, რადგანაც ევროპიელი სახელმწიფოების ჯარები ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ დააბრკოლონ სურსათის მიზიდვა ჩინეთის შუაგულ პროვინციებში და ამ საშუალებით ძალა დაატანონ იმპერატორის სახლობას და პეკინში დააბრუნონ იგი.

⋉ პრეტორიიდან იწერებიან, რომ გენერალ ბადენ-პაუელს შეუმუშავებია გეგმა, რომლის შემწეობითაც შეიძლება, მისის აზრით, ბოლო მოეღოს პარტიზანულს ომს სამხრეთ-აფრიკაში. ამ გეგმის ძალით მოუსვენარ ოლქებში უნდა აშენდეს მკვიდრი სიმაგრეები, მათში ძლიერი რაზმები უნდა ჩადგეს, რომელთაც ყველაფერი სამი თვის სამყოფი მაინც უნდა დაუმზადდეს. საკვირველია სწორედ, რომ ამისთანა გეგმა შეუდგენია იმ ბადენ-პაუელს, რომელიც თავის რაზმით რამდენიმე თვის განმავლობაში დაღუპვის პირას იყო მეფეკინგში, რადგანაც მის გასანთავისუფლებლად მიმავალ ინგლისის ჯარს ყოველ ფეხის გადადგმაზე ბრძოლა უხდებოდა ბურებთან; შემდეგ მეფეკინგის განთავისუფლებისა ბადენ-პაუელი, ინგლისის სხვა ჯარებთან ერთად, ხელმეორედ ჩავარდა დიდს გაჭირვებაში იმის წყალობით ისევ, რომ შეუძლებელი იყო სურსათის და საომარი მასალის მიტანა დანიშნულ ადგილებში. სიმაგრეების აშენებასაც მოუნდება მასალის მიტანა, რასაც ხელს შეუშლიან ბურები; სიმაგრეების აშენება ამის გამო ვინ იცის, როდემდე გაჭიანურდეს!

⋉ ბრიუსელის გაზეთები იუწყებიან, ტრანსვაალის დიპლომატიურ მისიიას სრულებით იმედი გადაუწყდა რომ ევროპის სახელმწიფოები გაერევიან სამხრეთ აფრიკის საქმის გარდაწყვეტაში, რადგანაც მთავრობების უმეტესობას გადაწყვეტით გამოუცხადებიათ დოქტორ ლეიდსისათვის, რომ ამაზედ ლაპარაკიც არ შეიძლებაო. გერმანიის მთავრობას ისიც კი დაუმატებია, რომ პრეზიდენტ კრიუგერის „მისვლა ბერლინში ეხლა უადგილო იქმნებაო.

⋉ გაზეთ «ინდეპანდანს ბელჟ» ში მოყვანილია, თუ როგორი ბრძოლა იყო დეპუტატთა პალატაში პარტიათა შორის ხუთშაბათს.

საბჭოს პრეზიდენტი გამარჯვებული გამოვიდა პარლამენტის პირველ ბრძოლიდანაო,—ამბობს გაზეთი,—მაგრამ არ უნდა დაივიწყოს ის გარემოება, რომ სხვა-და-სხვა ელემენტები, რომელნიც შეადგენენ დეპუტატთა უმეტესობას, სრული თანახმანი არ არიან რესპუბლიკელთა პროგრამის ზოგიერთ წვრილმანებისა; მაგალ. მემარცხენეთა სოციალისტები თავისუფლად აძლევენ ნებას მემარჯვენეთა წარმომადგენელთ მთავრობა გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩააყენონ. ძალას ატანენ გამოსთქვან—მომხრენი არიან თუ არა კოლლექტივური წესწყობილებისა; მემარჯვენეთა პარტიას იმედი აქვს მოაშოროს უმრავლესობას ან ცენტრის რესპუბლიკელები, ან რესპუბლიკელები უკიდურეს მემარცხენეთა.

სწორედ ამიტომ მოხდა, რომ ხუთშაბათს პალატამ, გამოუცხადა-რა ნდობა რესპუბლიკანურ კაბინეთის პოლიტიკას, ამავე დროს უკმაყოფილება გამოუცხადა მილიერანის მმართველობას. ეს იყო დამარცხება ვაჭრობის მინისტრისა და მისი მეგობრებისა, მაგრამ უკანასკნელთ მალე მოასწრეს და, თავისას მხრით, გაატარეს პალატაში 110 ხმის უმეტესობით ბ. სემბის შესწორება, რომელიც გამოსთქვამდა სინანულს, რომ სიპიდო უკანონოდ მისცეს ბელგიის მთავრობას ხელში.

რაც უნდა ილაპარაკონ, მაინც პალატის პირველმა კრებებმა დაგვანახვეს, რომ უმეტესობას გარდაუწყვეტია მიემხროს რესპუბლიკანელთა პოლიტიკას და რომ იგი შეიძლებს ებრძოლოს მემარჯვენეთა პარტიას, მელინს და მისს მეგობართ. უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ მემარცხენეთა სოციალისტები აღარა სთვლიან თავის მოვალეობად კაბინეთს მხარი დაუჭირონ.

ეს—მსხვერპლია, რომელიც მთავრობის მომხრე სოციალისტებმა მოუტანეს სურვილს, რომ ყველა სოციალისტთა პარტიები შეერთებულიყვნენ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, ვითომც ისინი აღარ აღმოუჩენენ შემწეობას კაბინეტს. ყოველთვის, როცა ვალდეკ-რუსსოს დასჭირდება მემარცხენეთა შველა, უკანასკნელნი მზად იქმნებიან სამსახურისათვის, და აი, ეს გარემოება მისცემს რესპუბლიკას საშუალებას გაიმარჯვოს ბრძოლაში. თუნდ ვალდეკ-რუსსომ დასტოვოს კიდეც სამინისტრო, არც მელინი, არც რიბო, არც დიუპუი და არც ბარტუ არ მიჰბაძავენ მისს მაგალითს. მის მემკვიდრედ შეიძლება იყოს რადიკალური კაბინეთი.

## ახალი ამბავი

✦ ქუთაისის გუბერნიაში ადგილ მამულის გადასახადი, რომელიც მომავალ წლიდან არსდება, გამოუანგარიშებიათ 532-ათასი მანეთი. „ნოვ. ობოზრ“. სიტყვით. იმავე გუბერნიაში საკომლო გადასახადი 902-ათასი მან. იყო, ასე რომ ახალი გადასახადი ერთიორად უმსუბუქებს მცხოვრებთ ტვირთს.

✦ გუშინ წინ, ქართულ დრამატიულმა დასმა წარმოადგინა დ. ერისთვის ცნობილი დრამა „სამშობლო“. ამსრულებელთა შორის აღვნიშნავთ ბ. გამყრელიძეს სვიმონ ლეონიძის როლში, რომელიც კარგად თამაშობდა, განსაკუთრებით მე-4 მოქმედებაში და ქ-ბ. მდივანს, რომელიც გვარიანი იყო ფაახოშის როლში. დანარჩენ უმთავრეს როლებს ისევ ძველები თამაშობდნენ. შემდეგ წარმოადგინეს ვ. გუნიას ახალი ვოდევილი „დედის ერთა“, რომელიც მწყობრად ითამაშეს გაბუნია-ცაგარლისამ, მდივნის ქალმა, შათირიშვილმა, კანდელაკმა, გამყრელიძემ და თამაზოვისამ. ხალხი წარმოდგენას ბლომად დაესწრო და მოთამაშენი ხანგრძლივის ტაშის ცემით დააჯილდოვეს.

✦ ტფილისში დაბრუნდა წმიდა ელენეს კუნძულიდან თავადი ნ. გ. მუხრანსკი, რომელიც სამხრეთ-აფრიკაში ვოლონტერად იყო ბურების ჯარში და ტყვედ იქმნა წაყვანილი ინგლისელების მიერ.

✦ კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭომ გუშინ, 6 ნოემბერს, ტფ. ქალაქის მოურავს გაუგზავნა ქაღალდი, რომელშიაც შუამდგომლობასა სთხოვს გამგეობისა და საბჭოს წინაშე, რომ კავკასიის მომავალ სამეურნეო სამრეწველო გამოფენის საუკეთესოდ მოსაწყობად ქალაქმა თავის მხრით რაიმე მატერიალური შემწეობა აღმოუჩინოს გამოფენის მმართველ-გამგე კომიტეტსო.

✦ შაბათს, 4 ნოემბერს, ქალაქის გამგეობის სადგომში მოხდა სხდომა განსაკუთრებულ კომისიისა და გამგეობის წევრებისა, რომელზედაც განხილულ იქმნა პროექტი გამგეობაში მსახურთათვის ჯამაგირების მომატების შესახებ. პროექტით განზრახული იყო, რომ 5 წლის სამსახურის შემდეგ მსახურს უნდა მოემატოს 5% მისი ჯამაგირისა, შემდეგში ყოველ 5 წლის სამსახურისთვის უნდა ემატებოდეს 10% ჯამაგირისა. მსახურთა თხოვნის თანახმად, კომისია დათანხმდა, რომ პირველ 5 წლის სამსახურის შემდეგ მიემატოს 10%, ხოლო შემდეგ, ყოველ 5 წლის სამსახურისთვის 15% ჯამაგირისა. ამ პროექტის განხორციელება მოითხოვს 20 ათას მანეთის მომატებას გამგეობის ხარჯისთვის. პროექტი წარედგინება დასამტკიცებლად საბჭოს.

✦ ოთხშაბათს, 8 ნოემბერს, ქალაქის გამგეობის დარბაზში სხდომა ექნება ქალაქის გამგეობასა და საბჭოს საფინანსო კომისიასა, რომელზედაც განაგრძობენ მომავალ 1901 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას.

✦ მკითხველებს ეხსომებათ, რომ ქალაქის გამგეობა დიდი ხანია ზრუნავს ქალაქის მიწების სარწყავად საიდანმე გამოიყვანოს წყალი. კვირას ქალაქის საბჭოს მდივანი სტ. ი. ჭრელაშვილი და ბ-ნი ბულდანოვი ქალაქის მებაღესთან ერთად ხელმეორედ გაემგზავრნენ სოფელ ლილოში იქაურის წყაროების დასათვალიერებლად. ამ ჟამად მათთან ახლდათ ერთი მცოდნე კა-

ციც, რომელსაც, გაუსინჯავს რა ეს წყაროები, ის აზრი გამოუთქვამს, რომ ლილოს წყლები იმდენად უხვად მომდინარეობენ, რომ დღე ღამეში ნახევარ მილიონ ვედრო წყლის მოცემა შეუძლიანთო, რაც თითქმის საკმარისი იქნება აღნიშნულ მიზნისათვის. ნება-რთვის შემდეგ აღნიშნულნი პირნი ახლო მომავალში კიდევ გა. მგზავრებიან სოფელ ლილოში იქაურ წყაროების გარშემო ადგილების გასათხრელად, რომ საბოლოვოდ დარწმუნდნენ იმაში, —ეს წყარო საკმარისი იქმნება თუ არა ქალაქის მიწების სარწყავად.

✦ ქუთაისის ქალაქის თავი ზ. ლოლუა ამ მოკლე ხანში პეტერბურგს აპირებს წასვლას, რათა იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რომ მალე იქმნან დამტკიცებულნი გეგმები და **პროექტები** ქუთაისში წყლის მილის და ელექტრონის ტრამვაის გაკეთებისა და ქუჩების ელექტრონით განათების შესახებ. როგორც „ნოვ. ობოზრ“-ს გაუგონია, ზ. ლოლუა პეტერბურგს ინჟ. მიხილოვის ხარჯით მიდის, რომელსაც ქალაქმა გადაცა კონცესია ყველა ზემოხსენებულის გაკეთებისთვის.

✦ ტფილისის **საოლქო სასამართლოს** განყოფილება დაიწყებს ადგილობრივ საქმეების გარჩევას, ახალქალაქში 7 დეკემბერს და ახალციხეში 12 დეკემბერს.

✦ 7 დეკემბერს დანიშნულია გასარჩევად ტფ. სამოსამართლო პალატაში **საქმე** კოდალის ნაწილის (სიღნაღის მაზრა) ბოქაულად ნამყოფის თავ. **ჯორჯაძისა**, რომელსაც ჰბრალდება უფლებათა გადამეტება და მცხოვრებთათვის ზარალის მიყენება.

✦ პარასკევს, 10 ნოემბერს, ტფილისის საოლქო სასამართლოში დაინიშნება განსახილველად ცნობილი **საქმე ს. წერეთლისა**, რომელიც შეურაცხყოფის მიყენებას უჩივის სოფიო არაფელოვესას.

✦ წელს **სამხედრო სამსახურში** გაწვეულნი ყმაწვილი კაცები გუშინ, 6 ნოემბერს, შეგროვდენ ტფილისის მაზრის სამხედრო საზეგრო სამმართველოში, სადაც მათ კენჭი უყარეს ჯარების სხვა და სხვა ნაწილებს შუა განაწილებისათვის.

✦ შაბათს, 11 ნოემბერს, ტფ. „კრუჟოკის“ დარბაზში გაიმართება **მუზიკალური და დრამატიული საღამო** მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა საზოგადოების სასარგებლოდ. დადგმული იქნება ერთ-მოქმედებიანი პიესა სცენის მოყვარეთა მონაწილეობით; შემდეგ გაიმართება კონცერტი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ქ-ბბ. მორეევა, მიხაილოვსკაია, ალბრეხტი, ლევინა, ბბ. ბროჯი, დავიდოვი და სხვანი.

✦ კვირას, 12 ნოემბერს, ტფილისის გრენადერთა პოლკის შენობაში, ავლაბარზე, გაიმართება იაფ ფასიანი **რუსულ-ქართული კონცერტი** ბავშთა ტფილისის სამზრუნველო საზოგადოების სასარგებლოდ.

✦ ქუთაისში ამ უკანასკნელ დღეებში ძალიან გავრცელდა **ქუნთრუშა**. საჭიროა ქალაქის მმართველობამ მოაწყოს ბრძოლა ამ საშიშარ სენთან.

✦ კავკასიის უმაღლეს ადმინისტრაციას წარუდგენია შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის დასამტკიცებლად ახალი შტატები **ამიერკავკასიის სავეტერინარო ზედამხედველობისა**. პროექტით ამიერკავკასიაში უნდა იყოს 478 ვეტერინარი, ფელდშერი და მათი მსახურები, რომელთ ჯამაგირად უნდა გადიდვას 321.280 მან. წელიწადში.

✦ ამ დღეებში ტფ. მიხეილის საავადმყოფოში გარდაიცვალა 128 **წლის მოხუცი**, მილიციის პორუჩიკი ტარიელ კვალიაშვილი. ოფიცრის ჩინი გარდაცვალებულმა მიიღო 1822 წელს მთიულთა წინაამდეგ ომში.

✦ სოფ. გეზათში (სენაკის მაზრა) ამ დღეებში შემდეგი **უბედურება** დატრიალებულა: აქაურ მცხოვრების ჯიბლაძის ბავშვი ბუხართან თბებოდა; უეცრად მის პერანგს ცეცხლი მოედო და ბავშვი საშინელ ტანჯვის შემდეგ გარდაიცვალა.

✦ პოლიციის მე-10 ნაწილში კვირას, დილის 4 საათზე, შეიპყრეს ბაქოდან მომავალნი მუქალა გაბრიელიანი და ივანე ოჰანეზოვი, რომელთაც აღმოაჩნდათ შემდეგ **ნაქურდალი ნივთები**: 6 ხანჯალი, 11 ნაჭერი ახალი მაუდისა თითო 8 არშინიანი, ერთი ჩერქეზული ჩოხა და სხვა ნივთები, რომელნიც არ იციან ვის საკუთრებას შეადგენენ. დამნაშავენი ოჰანეზოვი გაბრიელიანი პოლიციისაგან პასუხის გებაში იქმნენ მიცემულნი.

---

## დრამატიულ საზოგადოების წევრთა კრება

კვერას, 5 ნოემბერს, სათავადაზნაურო ბანკის სადგომში მოხდა კრება ქართულ დრამატიულ საზოგადოების წევრთა. სულ კრებას დაესწრო ოცამდე წევრი და ცოტაოდენი გარეშე პირებიც. კრების თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქმნა საზოგადოების გამგეობის თავჯდომარე ვ ი. სულხანიშვილი. პირველად კრებას მოხსენდა საზოგადოების მოღვაწეობის ანგარიში 1899 წლის 1-ლ ოქტომბრიდან 1900 წლის 1-ლ ოქტომბრამდე.

საანგარიშო წელს, როგორც წინადაც, დრამატ. საზოგადოების გამგეობის უმთავრეს საგანს შეადგენდა — ტფილისში ქართული წარმოდგენების მართვა. წარსულ სეზონში სულ გაუმართავს მას 28 წარმოდგენა. წარმოუდგენია 3 ახალი პიესა, გაუახლებია—7, დანარჩენები ძველი ყოფილა. არ იქნებოდა მეტი აღენიშნათ ანგარიშში ახალი პიესების სათაურები. საანგარიშო წელს ახალ არტისტებს არ უთამაშნიათ სცენაზე. რაც შეეხება ახალ პიესებს, მათ შესაძენად გამგეობას პრემიები გამოუცხადებია; სხვადასხვა ავტორთ წარმოუდგენიათ ათამდე პიესა, რომელთაგან მოუწონებიათ ერთი—ბ-ნ ნახუცრიშვილის დრამა „იანიჩარი“—და კიდეც დაუჯილდოვებიათ 100 მ. პრემიით. ანგარიში გვპირდება, რომ ეს დაჯილდოვებული პიესა ამ სეზონში იქნება წარმოდგენილიო. საანგარიშო წელს გამგეობას უზრუნვია გარდეროზის გაუმჯობესობისათვის: შეუკეთებია ძველი და შეუძენია ბევრი ახალი ტანისამოსიც, რისთვისაც დაუხარჯავს 207 მანეთი. ამ ჟამად გარდერობში 168 სხვა და სხვა სახელის ნივთია, რომელიც შეიცავს 697 ცალს. საანგარიშო წელს საზოგადოების ბიბლიოთეკაც შეუვსია გამგეობას: გადაუწერინებია 21 ძველი პიესა და შეუძენია 37 ახალი; ამ ჟამად ბიბლიოთეკაში 358 სხვა და სხვა სახელის პიესაა. გამგეობას შემწეობა აღმოუჩენია ტფ. სახალხო თეატრისათვის: 50 მან. „ნაძალადევში“ საზაფხულო თეატრის მოსაწყობად მიუცია სახალხო წარმოდგენების მმართველ სექციისათვის და იმასვე აძლევს ხუთ ხუთ მანეთს თითო სახალხო წარმოდგენის გამართვისათვის. საანგარიშო წელს საზოგადოებას სულ შემოსვლია 16.209 მანათი; უმთავრესი შემოსავალი ყოფილა: 1) წარმოდგენებიდან—11.101 მან., 2) თავ. გ. ს. გოლიცინისაგან—2000 მან., 3) ტფ. სათავად-აზნაურო ბანკისაგან—1000 მან., და სხვა. დახარჯულა საანგარიშო წელს 15.767 მან.; უმთავრესი გასავალი: 1) არტისტების ჯამაგირი—4411 მან., 2) თეატრის ქირა—2700 მან., 3) ბენეფისებში არტისტებს—1947 მან., 4) დროებით მოწვეულ არტისტებს, 1559 მ. და სხვა; მაშასადამე საანგარიშო წელს საზოგადოებას სეზონის წარმოებაში მოგებაც დარჩენია—442 მან., რაც „პირველი მაგალითია ჩვენს სათეატრო მატიანეშიო“, ამბობს ანგარიში.

ანგარიშს კამათი არ გამოუწვევია, რაც აიხსნება იმ გარემოებით, რომ კრებას დაბეჭდილი ანგარიშები მხოლოდ სხდომის დროს დაურიგდა და წევრებმა ვერ მოასწრეს მისი გაცნობა. სარევიზიო ოქმის წაკითხვის შემდეგ, რომლითაც შემოწმებულ იქმნა ფულის ანგარიშის სისწორე, კრებამ ერთხმად დაამტკიცა ანგარიში. ამასთანავე კრებამ, ი. ნ. მაჭავარიანის წინადადების თანახმად, დაადგინა, რომ შემდეგში დაბეჭდილი ანგარიშები კრებამდე ორის კვირის წინ ურიგდებოდეს საზოგადოების წევრთ.

შემდეგ კრებას წარუდგინა გამგეობის მოხსენება სათავად-აზნაურო თეატრის იჯარით აღების შესახებ. დრამატ. საზოგადოებას რამდენჯერმე გამოუცხადებია სურვილი,—კარგი იქნება ხსენებული თეატრი დრამატ. საზოგადოებამ აიღოს იჯარითაო და ამ სურვილის განხორციელება საანგარიშო წელს მოხერხდა. სათავად-აზნაურო მამულის გამგე კომისიამ იჯარით მისცა თეატრი დრამატ. საზოგადოებას შემდეგ პირობებით: 1-ლ ოქტომბერს თეატრი მზად უნდა ჩაჰბარებოდა დრამატ. საზოგადოებას; უკანასკნელს უნდა გაემართა წელიწადში 300 წარმოდგენა, რის ქირად კომისიისათვის უნდა მიეცა 30000 მ. (300 × 100); თუ თეატრში რომელიმე წარმოდგენა არ მოხერხდა და ამის მიზეზი კომისია იქმნა, უკანასკნელმა უნდა გადიხადოს დრამატ. საზოგადოების სასარგებლოდ 125 მ.; თუ პირობა დარღვეულ იქმნა, დამნაშავე მხარემ უნდა გადიხადოს 5000 მან. ჯარიმა. ეს ხელშეკრულობა ფორმალურად დაუმტკიცებელი დარჩა, რადგანაც სათავად-აზნაურო კომისია ხელს არ აწერდა სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო: პირობა ჯერ არ გადაწერილაო, კრება ვერ შესდგაო და სხვა. მაგრამ კომისიამ ფორმალურად, თავის სხდომაზე გამოუცხადა დრამატ. საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარეს, რომ პირობები მიღებულიაო და თეატრი ჩაიბარეთო. გამგეობა მაშინვე შეუდგა ცდას თეატრის ექსპლოატაციის მოწყობისათვის, რადგანაც ისედაც დაგვიანებული იყო. ჰალე ანტრეპრენიორებიც გამოჩნდნენ: დალსკი—დრამატიული ტრუპპით და დედინცევი—საოპერეტო ტრუპპით; გამგეობა მათ

შეეკრა შესაფერ პირობებით. სხვათა შორის, თუ წარმოდგენა გადიდებოდა თეატრის მოუწყობლობის მიზეზით, დრამატ. საზოგადოებას უნდა გადაეხადა 100 მან.; როგორც მკითხველებმა იციან, დოლსკის დასმა განათების მოუწყობლობისა გამო ორ კვირას ვერ გამართა წარმოდგენები, რისთვისაც დრამატ. საზოგადოებამ 2000 მანეთზე მეტი ჯარიმა მისცა მას. საზოგადოების გამგეობამ ზარალის ზღვევა მოსთხოვა სათავად აზნაურო კომისიას, მაგრამ უკანასკნელმა უარი უთხრა, რადგანაც პირობა ფორმალურად არ იყო დამტკიცებული. ამის გამო გამგეობას გადაწყვეტილი აქვს მოსთხოვოს თავად-აზნაურობის მომავალ საგანგებო კრებას ამ ზარალის ზღვევა და თუ ესეც უარს იტყვის, სასამართლოს გადასცეს საქმე.

ამ მოხსენებამ ხანგრძლივი ბაასი გამოიწვია. საზოგადოების ზოგიერთმა წევრმა უსაყვედურა გამგეობას,—თეატრი არ უნდა ჩაგვებარებინათ, სანამ არ დავრწმუნდებოდით, რომ იგი სრულიად მზად არის და სანამ პირობაზე ხელს არ მოაწერინებდით კომისიის წევრებსაო. ზოგიერთმა ის აზრი გამოსთქვა, რომ სიტყვიერს პირობას მხოლოდ ზნეობრივი ძალა აქვს და არა იურიდიული, ამიტომ, თუ კრებამაც უარი გვითხრა, ჩვენი ზარალი დაუფარავი დარჩებაო. ბ.ბ-ნმა ივ. მაჭავარიანმა, ნებიერიძემ, ილ. ზურაბიშვილმა და სხვებმა გამოაცხადეს,—უმჯობესი იქნება პირობა დაირღვეს მეორე ანტრეპრენიორთან, მივსცეთ მას ჯარიმა 500 მანათიო, თორემ, შეიძლება, კვლავ ისეთ მდგომარეობაში ჩავარდეთ და დედინცევსაც დიდძალი ზარალი უზღოთო. გამგეობის განმარტებით, თეატრში სინათლე ამიერიდან არ ჩაჰქრებაო, რადგანაც ახალი დინამო-მაშინა დაიდგა და გარდა ამისა აკუმულიატორიც გამოწერილი არისო; დიდი-დიდი ორი-სამი დღით შეჩერდეს წარმოდგენაო და სამასი მანათის ჯარიმა გადაგვახდევინონო; ხოლო ამის გამო დედინცევთან პირობის დარღვევა არ ვარგაო, რადგანაც ტყუილ-უბრალოდ დავკარგავთ ორი ათას მანეთამდე წმინდა მოგებასო. რაც შეეხება კომისიასთან ხელშეკრულობას, თუ სასამართლომდე მივიდა საქმეო, ჩვენ ხელთა გვაქვს დასამტკიცებელი საბუთები იმისა, რომ ხელშეკრულობა მოხდენილ იქმნაო და ამას იურიდიული ძალაც ექნებაო.

ბოლოს კრებამ დაადგინა ეთხოვოს თავად-აზნაურობის მომავალ კრებას ზარალის ზღვევა; ხოლო წინადადება, რომ დედინცევთან პირობა დაირღვესო, უარყოფილ იქმნა ხმის უმეტესობით.

შემდეგ კრებას წარედგინა ხარჯთ-აღრიცხვა მომავალ წლისა. გამგეობის გამოანგარიშებით მომავალ წელს (1900 წლის 1-ლ ოქტომბრიდან 1901 წლის 1-ლ ოქტომბრამდე) საზოგადოებას უნდა შემოუვიდეს 32.022 მან., დაეხარჯოს—30.920 მანათი; უმთავრესი მოგება და ხარჯი თეატრის იჯარას ხვდება. კრებაზე გადიდებულ იქმნა გასავლის ანგარიში; სახელდობრ: მოულოდნელ ხარჯს (500 მან.) მიემატა 300 მანეთი იმ მოსაზრებით, რომ შეიძლება საჭირო შეიქნეს განათების მოწყობილობისათვის ბენზინო მოტორის დაქირავება; შემდეგ, არტისტების შესაწევარს ხარჯს (300 მ.) მიემატა 200 მ.; თეატრის იჯარის გამგის განკარგულებაში გადადებული ხარჯი 400 მან. გადატანილ იქმნა მოულოდნელ ხარჯის აღრიცხვაში. ამ ცვლილების შემდეგ კრებამ დაამტკიცა ხარჯთ-აღრიცხვა.

დასასრულ კრებამ აირჩია საზოგადოების წევრებად რამდენიმე პირი და სარევიზიო კომისიის წევრებად ქ-ნი. მ. ი. დემურია, შიო დედაბრიშვილი და გ. ზ. ქურდიანი.

რედაქტორი: ალ. ჭყონია. გამომცემელი: ალ. ჯაბადარი.

## გამოსადეგი ცნობანი

### მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი ტფილისის)

სწრაფი მატარებელი № 2 ტფილისიდან ბაქოში გადის კვირაში ერთხელ ოთხშაბათობით დილის 7 ს. 56 მ. (8 ს. 54 წ.), ბაქოში ჩადის საღამოს 9 ს. (9 ს. 58 მ.).

სწრაფი მატარებელი № 1 ბაქოდან ტფილისში გადის დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.), ტფილისში ჩამოდის საღამოს 8 ს. 12 წ. (9 ს. 10 წ.).

საფოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან ტფილისში გადის ღამის 11 ს. 15 წ. (12 ს. 13 წ.), ტფილისში ჩამოდის ნაშუადღევის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ.)

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბათუმში გადის საღამოს 6 ს. 30 წ. (7 ს. 28 წ.), ბათუმში ჩადის დილის 7 ს. 10 წ. (8 ს. 8 წ.).

მგზავრთა მატარებელი № 5 ბაქოდან ტფილისში გადის ნაშუადღევის 3 ს. 5 წ. (4 ს. 3 წ.), ტფილისში ჩამოდის დილით 8 ს. 23 წ. (9 ს. 21 წ.),

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 9 ს. 3 წ. (10 ს. 1 წ.), ბათუმში ჩადის საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.).

მგზავრთა მატარებელი № 6 ბათუმიდან ტფილისში გადის დილის 8 ს. 56 წ. (9 ს. 54 წ.), ტფილისში ჩადის საღამოს 8 ს. 42 წ. (9 ს. 40 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბაქოში გადის საღამოს 9 ს. 22 წ. (10 ს. 20 წ.), ბაქოში ჩადის შუადღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

საფოსტო მატარებელი № 4 ბათუმიდან ტფილისში მიდის საღამოს 10 ს. 47 წ. (11 ს. 45 წ.), ტფილისში ჩადის დილის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბაქოში გადის შუადღის 12 ს. 36 წ. (1 ს. 34 წ.), ბაქოში ჩადის დილის 7 საათზე (7 ს. 58 წ.).


## განცხადებანი

წარსული წლების ჟურნალი

# მოამბე

გაიყიდება შემდეგ ფასებად: 1894 და 1895 წ.წ.—შვიდ-შვიდ მან., 1896, 1897 და 1898 წ.წ.—ხუთ-ხუთ მან., ხოლო 1899 წ. «მოამბე» 1900 წ. ხელის-მომწერთათვის ეღირება ხუთი მანეთი.—ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თითო წლის ჟურნალ „მოამბის“ ფოსტის ხარჯად 60 კაპეიკი უნდა გამოგზავნონ.—ჟურნალ

# მოამბის

ადრესი: Тифлисъ, въ редакцiю грузинск. журнала „Моамбе“.

ქართველთა წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის და გიორგიევის ქუჩის კუთხეში, იყიდება შემდეგი ქართული წიგნები:

ისტორია, გეოგრაფია და მოგზაურობა

ალხაზიშვილი ილ. ბუნება და ცხოვრება. 60 კ.
ალნიაშვილი ვლ. სპარსეთი და იქაური ქართველები. 1 მ.
ბაქრაძე დ. ახალი გამოკვლევა ისტორიის წინა დროებზე და ქართველის ტომის დასაწყისზე. 15 კ.
გოგებაშვილი ი. ასპინძის ომი 10 კ.
— თავდადებულნი ქართველნი, სურათებით. 10 კ.
ვახუშტი ბატონიშვილი. გეოგრაფია I წ. სამცხე 25 კ.
— იგ. II წ. ქართლი 25 კ.
ვოდოვოზოვი ე. ინგლისელები. 40 კ
— იტალიელები. 30 კ.
— გერმანელები. 30 კ.
თაყაიშვილი ე. სამი ისტორიული ქრონიკა. 1 მ.
იოსელიანი პ. ცხოვრება მეფე გიორგი XIII და საქართველოს რუსეთთან შეერთება. 1 მ.
კუდრიავსკი დ. როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები ძველად. 25 კ.
ჟორდანია თ. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. 3 მ.
— იგივე წიგნი II. 3 მ.
ურბნელი ნ. ძველის დება მეფე გიორგი ბრწყინვალისა. 25 კ.
— გიორგი ბრწყინვალე. 20 კ.
ქართლის ცხოვრება დასაბამიდან მეცხრამეტე საუკუნემდის. წიგნი პირველი. 40 კ.
— იგ. წიგნი მეორე. 1 მ.
— იგ. „ მესამე. 40 კ.
ჭიჭინაძე ზ. მეფე ერეკლეს და ადამამადხანის ომი. 10 კ.
— მეფე ირაკლის გმირები. 15 კ.
ხახანაშვილი ალ. ბატონ-ყმობა საქართველოში. 50 კ.
— გუჯრები. 50 კ.

—

ბენაშვილი ან. მოკლე ქართული გრამატიკა, ედით. 25 კ.
ყიფიანი დ. ახალი ქართული გრამატიკა. 1 მ. 20 კ.

—

ორბელიანი საბა-სულხან. ქართული ლექსიკონი. 3 მან.
ჭყონია ალ. ისტორიული ნარკვევი 1 მან. და 50 კაპ.
სახოკია თ. რუსულ-ქართული ლექსიკონი. 20 კ.

—

ყიფიანი ვ. ალგებრა. 1 მ. 20 კ.
ჯაჯანაშვილი რ. კრებული არითმეტიკულის ამოცანებისა 25 კ.

სამეცნიერო წიგნები.

ბ. ს. შრომა და კაპიტალი. 20 კ.
გოლოვინი ს. დარიგება მხედველობის დაცვასა და თვალების მოვლაზე. 10 კ.
გოგებაშვილი ი. მოსავლის მტერნი, სურათებით. 20 კ.
დედამიწის მოყვანილობა—10 კ.
ერისთავი დ. ხოლერა და მისი ასაცდენი დარიგებანი. 10 კ.
იოსელიანი გ. ლოღიკა. 15 კ.
ივანოვი ალ. ცა და დედამიწა. 20 კ.
ლენტის მსგავსი ჭიები 5 კ.
ომბი. ბავშვების მოვლა 40 კ.
[illegible]იანაშვილი ალ. ჭაერი და მისი მნიშვნელობა. 15 კ.
მოწამვის ჭიგიენა 3 კ.
მასსე. ლუკმა პურის ამბავი 60 კ.
რუბაკინი. ამბავი ცხოველთა სამეფოსი, სურათებით. 50 კ.
როსკო. პროფესორი. ქიმია 40 კ.
როგორ საზრდოობს მცენარე, განმოკვეთებული. 25 კ.
სპერანსკი. ტუდი სენი, ანუ ათაშანგი. 5 კ.
ხუსკივაძე თ. შვილების აღზრდა, პედაგოგიური წერილები. 20 კ.

—

დარეჯანაშვილი არ. საბოსტნე მცენარეების მოყვანა. 20 კ.
ჯორჯაძე ლ. მევენახეობა და ღვინის დაყენება. 60 კ.

სახელმძღვანელო წიგნები:

ალნიაშვილი ვლ. «ბან», ხალხური ლექსები. 10 კ.
— «გან», წვრილი ამბები. 10 კ.
— «დონ», წვრილი ამბები. 10 კ.
— «ვინ», პაწაწა მინერალოგია 15 კ.
— «ზენ», პაწაწა ბოტანიკა. 20 კ.
— «თან», პაწაწა ზოოლოგია. 20 კ.




სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ს. განქის დიდი ქუჩა, № 27.